


საარქივო ბულეტენი
THE ARCHIVAL BULLETIN

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო
The Archive Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia





„საარქივო მოამბის“ ერთგული მკითხველი ვარ არა მხოლოდ მე, არამედ მთელი ჩემი ოჯახი. „საარქივო მოამბეში“ ძალიან საინტერესო მასალები იბეჭდება, რომლებიც ეხება წარსულს და ამ წარსულიდან ეხმიანება თანამედროვეობას, რაც ყველა თაობისთვის საინტერესოა. ამიტომ „საარქივო მოამბეს“ სიამოვნებით კითხულობენ ჩემი მშობლები და ჩემი შვილიც.

ძალიან მნიშვნელოვანია ერთი მომენტი – ყველა ის დოკუმენტი, რომელიც თქვენს არქივშია დაცული, ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ამ მასალების შესწავლა, თავისი წარსულის გაცნობა და მითიც დოკუმენტების გასაიდუმლოების შესახებ, თქვენი ჟურნალისა და საიტის დამსახურებით დღეს უკვე დამსხვრეულია. თუმცა ერთი რამ ცხადია, საიტი უფრო ვიწრო წრისთვის არის ხელმისაწვდომი, ხოლო ასეთი მაღალი პოლიგრაფიული დონის ჟურნალი გაცილებით ფართო მკითხველზეა გათვლილი.

„საარქივო მოამბის“ გამომცემის იდეა ძალიან დროული და გამართლებულია. მივესალმებით ჩვენი კოლეგების ამ წარმატებულ წამოწყებას და ვთვლით, რომ ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა ქართული საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად და კარგი იქნებოდა, თუ სხვა არქივებიც და მათ შორის ჩვენი არქივიც მიბაძვდა თქვენ არქივს და, შესაბამისად, ასეთივე მაღალი დონისა და ასევე საინტერესო ჟურნალს გამოუშვებდა.

დიდ მადლობას გადაგიხდით იმ ადამიანებს, რომლებიც ჟურნალ „საარქივო მოამბის“ მომზადებაში იღებთ მონაწილეობას. იმდენად მაღალი კვალიფიკაცია და თავდაუზოგავი შრომა ჩანს თქვენი, რომ ჩვენს მადლობას ნამდვილად იმსახურებთ.“

თეონა იაშვილი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი)

"I myself am a devoted reader of The Archival Bulletin and both my family and I read this journal with great interest. The materials published in the Archival Bulletin are interesting and appealing to any generation. This journal sheds light on our past and present. My parents as well as my child are among the faithful readers.

The following factor is essential. All documents preserved in your archive are accessible to the people. Any person can study these materials and learn about his or her past. The myth about the inaccessibility of these documents has been dispelled with the aid of your journal and website. Although the site is accessible to a restricted group of people, such a high level polygraphical journal is provided for much wider readership.

The idea of publishing The Archival Bulletin was timely and justified. We praise the successful initiative of our colleagues and consider it to be an important step which has been taken for satisfying the interest of Georgian society. It would be better if the other archives followed the example of your archive and published such a high standard and interesting journal as this one.

I thank everybody who took part in publishing The Archival Bulletin. You really deserve our gratitude as you have revealed a high level of qualification and diligent work.

TEONA IASHVILI (Director General of the National Archive of the Ministry of Justice of Georgia)

სარედაქციო კოლეგია:

ჟურნალის დამფუძნებელი – ომარ თუშურაშვილი
(შსს საარქივო სამმართველოს უფროსი)

მთავარი რედაქტორი – ნინო ვიფშიძე
სტილი და კორექტურა – ქეთევან სარსევანიძე
(ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი)

ინგლისური ტექსტების სტილი და კორექტურა – ტიმოთი ბლაველტი (მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო განათლების ამერიკის საბჭო, პოლიტოლოგი-ისტორიკოსი)

მაიკლ დობინსი (კონსტანცის უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი პოლიტიკისა და ადმინისტრაციის თავმჯდომარე)

დაკაბადონება – მერი ბარბაქაძე

ტექნიკური უზრუნველყოფა – ლელა გუგულაშვილი,

გეორგი ბაბუცაშვილი
მთარგმნელები – ნანა გრიგალაშვილი, ეკა ძიგოვა,
ლელა გოგოლიძე, გრიგოლ გიორგაძე

ჟურნალის კონსულტანტები:

თორნიკე ჯგბაშვილი (შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე)

დავით ალავერდაშვილი (შსს საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე)

რონალდ სუნი (მონიკანის და ჩიკაგოს უნივერსიტეტების პროფესორი)

ტიმოთი ბლაველტი (მეცნიერებათა დოქტორი)

გასტან გურული (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი)

ქეთევან როსტიაშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი)

გეორგი მამულაია (საზოგადოებრივ მეცნიერებათა დოქტორი)

გეორგი კლდიაშვილი (ისტორიკოსი)

ლევან ავალიშვილი (ისტორიკოსი)

EDITION BOARD:

Journal founder – Omar Tushurashvili (Head of the Archive Administration of the MoIA)

Editor-in-chief – Nino Kipshidze

Editing and proof reading – Ketevan Sarsevanidze
(Candidate of the Philology Sciences)

Editing and proof reading of English texts –

Timothy Blauvelt (PhD, American Councils for International Education, Political Scientist/Historian)

Michael Dobbins (University of Konstanz, Chair of Comparative Public Policy and Administration)

Imprint – Mary Barbakadze

Technical support – Lela Gugulashvili,
Giorgi Babutsashvili

Translators – Nana Grigalashvili, Eka Dzigoeva, Lela Gogolidze, Grigol Giorgadze

JOURNAL CONSULTANTS:

Tornike Jebashvili (Deputy Director of Informational-analytical Department of the MoIA)

Davit Alaverdashvili (Deputy Head of the Archive Administration of the MoIA)

Ronald Grigor Suny (Charles Tilly Collegiate Professor of Social and Political History, University of Michigan; Emeritus Professor, University of Chicago)

Timothy Blauvelt (PhD, American Councils for International Education, Political Scientist/Historian)

Vakhtang Guruli (The Professor of Tbilisi State University)

Ketevan Rostiasvili (The Professor of Tbilisi State University)

Giorgi Mamulia (Doctor of Social Science)

Giorgi Kidiashvili (Historian)

Levan Avalishvili (Historian)

4-11 გმირები
HEROES

მიხეილ ლაშქარაშვილი – შეფიცულთაგან ერთ-ერთი და სამშობლოსათვის თავგადასხმული
Mikheil Lashkarashvili: Compatriot and Devoted Son of the Homeland

12-18 სული ამბოხებული
UNBENDING SPIRIT

37 წლის რეპრესიებს შეწირული ქართველი მწერლების ჩვენებები
The Testimonies of Georgian Writers Affected by the Repression of 1937

19-33 უცხო თვალით
FOREIGN PERSPECTIVE

ქართულ-რუსული ურთიერთობები ქართველი რევოლუციონერის ისტორიის
კვალდაკვალ კავკასიიდან კრემლამდე
A Life Lived Between Georgia and Russia: Tracing the Personal History of a Georgian Revolutionary
from the Caucasus to the Kremlin

34-36 უახლესი ისტორია
MODERN HISTORY

ქართველ დისიდენტთა მოძრაობა
ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავის საქმე
The Georgian Dissident Movement. The case of Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava

37 ნომრის ფოტო
FEATURED PHOTO

38-41 მოგონებანი
RECOLLECTIONS

რუსი ჯარისკაცის მემუარი
The Memoir of a Russian Soldier

42-49 სპეცბალასახლება
SPECIAL EXILE

ბერძნების, თურქების, ირანელებისა და სხვა წარმომავლობის მქონე პირთა გადასახლება
1949-1950 წლებში
The Exile of Greeks, Turkmen, Iranians and Other Nationalities in 1949-1950

50-55 მეორე მსოფლიო ომი
WORLD WAR II

Битва за Кавказ. 1942-1943 гг. Кавказское соединение особого назначения «Бергманн»
Battle for the Caucasus: 1942-43 The Caucasian Special Purposes Battalion "Bergmann"

56-75 თულნი
TULNI

ივანე კრაწაშვილის დაჯგუფება
The Criminal Gang of Ivane Kratsashvili

78 ბახუნებული ბარათები
FADED LETTERS

79-109 მენიერის გვერდი
SPECIALIST'S PAGE

დოკუმენტები და მასალები საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის (1943-1946 წწ.)
Documents and Materials on the History of the Georgian Church (1943-1946)

მიხეილ ლაშქარაშვილი – ზეფიცულთაბან ერთ-ერთი და სამშობლოსათვის თავბადაღებული

ლია კერესელიძე
LIA KERESLIDZE

„...მაგრამ არ შეიძლება მომავალი საქართველო ავაშენოთ, თუ მის წარსულ ისტორიას არ მოვექცევით ფაქიზათ, პატივისცემით, სიყვარულით... თუ არ გავიხსენებთ სამშობლოსათვის თავდადებულებს, მისთვის მსხვერპლად შეწირულებს, მათ საფლავებს არ გავიხსენებთ წმიდათა-წმიდას და მათ ეროვნულ მიზანს არ დავისახავთ ჩვენს იდეალად...”¹

საქართველოს ისტორია გმირების ისტორიაა, გმირების და, სამწუხაროდ, მოღალატეებისაც... სამშობლოსათვის თავგადადებული, ღირსეული ვაჟკაცებისა და ანგარებიანი, გაურკვეველი ძალების მსახური ვაი-კაცებისა, რომელთა წყალობითაც ორ ზღვას შუა მოქცეულმა „ტურფა“ საქართველომ ვერა და ვერ დაიმკვიდრა ძლიერი და წარმატებული ქვეყნის ადგილი მსოფლიო რუკაზე. მათზე სათქმელს ისტორია იტყვის. მოდით, ჩვენ იმ რაინდებზე ვისაუბროთ, რომელთა თავგანწირვის წყალობითაც, ასე თუ ისე, ვარსებობთ, ვისი გმირობითაც მთელმა ერმა უნდა ვიამაყოთ, ვის მაგალითზეც ჩვენი შვილები უნდა აღვზარდოთ და ვასწავლოთ ვაჟკაცობა, ერთგულება, თავდადება, სიყვარული... ასეთი კი, მაღლობა უფაღს, მართლაც

MIKHEIL
LASHKARASHVILI:
COMPATRIOT AND
DEVOTED SON OF THE
HOMELAND

“Georgia can have no future unless its past is treated with care, respect and love. We should always remember those people who devoted themselves to our country. Their graves should become sacred places and their national goals our ideals.”¹

On the one hand, the history of Georgia is full of heroes, sons devoted to their homeland and courageous men. But on the other hand, this history reveals many traitors who served only their own interests. The latter prevented Georgia from becoming a strong and successful country on the world map. It is up to history to judge them. Now I would like to tell the story of those people who played a major role in making Georgia what it is today. The whole nation must be proud of their heroism. Their lives must be an example to future generations. We must

¹ ს. ჯაღდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის აშოხება“, თბ., 1989, გვ. 44.

¹ S. Zaldastanishvili, “The Uprising of Georgia in 1924,” p. 44.

რომ ბევრნი არიან. არც კი ვიცი, საიდან დავიწყეთ, მაგრამ, მოდი, ამჯერად მიხეილ ლაშქარაშვილზე შევჩერდეთ...

როგორც იქნა, XX ს.-ის მიწურულს ტაბუ აიხსნა და **ქაქუცას** სახელმა იფეთქა, საზოგადოების ფართო მასებმა გაიგეს XX ს.-ის დასაწყისის უდიდესი ეროვნული გმირის – **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** შესახებ, მაგრამ ცოტა რამ არის ცნობილი იმ ვაჟკაცებზე, რომლებიც მის მხარდამხარ დაუღალავად იბრძოდნენ საბჭოთა რუსეთისა და მოღალატე ქართველი ბოლშევიკების წინააღმდეგ, წლების განმავლობაში ოჯახურ მყუდროებას მოწყვეტილები ტყე-ღრეში რომ იყვნენ გავარდნილები იმისი იმედით, რომ ქვეყანას, ინტელექტუალურ ძალას იხსნიდნენ ოკუპანტებისგან, „**ГРУЗ. ЧЕК**“-ას, „**НКВД**“-ს, „**ОПУ**“-ს ჯალათებისგან, უზნეო „ლუმპენპროლეტარიატისგან“, საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ბოლშევიკთა რომ ეძებრნენ კეთილშობილთ...

ერთ-ერთი მათგანი იყო **მიხეილ ლაშქარაშვილი**, უბრალო ხალხის წიაღიდან გამოსული ერთი კარგი ჯანმრთელი გლეხი, ვაჟკაცი, რომელსაც ზნეობა, კაიკაცობა, სამშობლოსა და მეგობრების სიყვარული, ერთგულება ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. დაიბადა ქართლის სოფ. **ქვემო ხანდაკში** და სიცოცხლე დაასრულა საფრანგეთში. მის შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი...

საარქივო მასალების დათვალიერებისას შემთხვევით გადავაწყდით 1921 წელს მასზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელმაც თავისი დრამატულობით მიიქცია ჩვენი ყურადღება. ამას დაემატა **კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის, ისტორიკოს გიორგი ჩადუნელის** ნაამბობი. კვალს გავეყვით, ჩავედით ლაშქარაშვილის მშობლიურ სოფელ ქვემო ხანდაკში, მოვუსმინეთ იქაურ მცხოვრებლებს, მოხუცებს, ახალგაზრდებს და, ჩვენდა საბედნიეროდ, ეროვნული გმირიც აღმოვაჩინეთ...

მისი ბიოგრაფიის მოკლე მონახაზი:

დაიბადა 1884 წელს კასპის რ.-ის სოფ. ქვემო ხანდაკში, 1902-1903 წწ. მუშაობდა იარაღოვის ქარხანაში, შემდეგ რკინიგზის მთავარი სახელოსნოს სადურგლო სამქროში, მონაწილეობდა პირველი მარქსისტული ჯგუფების ჩამოყალიბებაში, 1903-1905 წწ. მოვლენების დროს იყო გვარდიის საველე სასამართლოს თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი, მაგრამ, როგორც ჩანს, მალე ჩაწვდა მარქსისტების იდეოლოგიის სიბინძურეს და

teach our children about their heroism, devotion and love. Georgia has many heroes, and now I would like to tell you a story about Mikheil ("Misha") Lashkarashvili.


While many have recently learned about Kakutsa Cholokashvili, a 20th century national hero, little is known about those brave people who fought together with him against the Soviet Union and the Georgian Bolsheviks. They lived in the forests for years in the hope of saving their country from aggressors, such as the Cheka, the NKVD, the State Political Administration (GPU) and amoral bureaucrats.

Lashkarashvili was one of these heroes, a kind and hearty peasant from a poor family. Morality, courage and love of country and friends were his main characteristics. He was born in a village in Kvemo (Lower) Khandaki and died in France. Little is known about his life.

In studying the archival documents, his file drew our attention because of its dramatic nature. In addition, the historian Giorgi Chaduneli, director of the Kaspi museum, provided us with further information. We then went to Lashkarashvili, the residents of which: the young people as well as the old ones, characterized him as a hero.

A brief biography:

He was born in 1884, and in 1902-3 he worked in the Yaralov Factory. He then worked at a railway joiner's shop. He took an active part in forming the first Marxist group. During 1903-5 he was the chairman of the Field Court of Guards and an active member of the Social Democratic




განუდგა. აი, რას წერს თავის მოგონებებში:

„ამნაირათ, ყველა ის პირი, ვინც კი მარქსისტებისთვის თვალში მოსაწონი არ იყო, ხდებოდა ტერორისტების მსხვერპლი, მათ მიერ ჩადენილი მუხანათური საქმეების მოწმე მე თვითონ ვიყავი ქარხანაში მუშაობის დროს. მთელი მარქსისტული მოძრაობა ამაზედ იყო დაყრდნობილი და მამულიშვილების უმანკო და უდანაშაულო სისხლის დაღვრით მოიკაფავდნენ გზას ხელისუფლებისაკენ. განა შემიძლია ყველა იმ საშინელების აღწერა ქაღალზედ, რასაც მაშინ ისინი შთადიოდნენ?! ეს ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ რაცა ესთქვი, ეს იმიტომ, რომ ფარდა აეხადოს მათ საქმიანობას და ნათელ ვყოთ ყველაფერი, ამით უტყუარი სურათი გადავცეთ ქართველი ერის მომავალ თაობებს და ისტორიას, როგორც მასალა, რომ ყველამ იცოდეს ზემოთ აღნიშნული შეცდომები და სასტიკი მუხანათობა ქართველი ერის წინაშე ჩადენილი – გადაგვარებული, გარუსებული მარქსისტების მიერ“.¹

როგორც ბატონი **გიორგი ჩადუნელი** გვიაშკებებს, **ლაშქარაშვილი** ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ წენარად ცხოვრობდა მამისეულ სახლ-კარში და სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული, მაგრამ თანასოფელე ვინმე **მნაცაკა ადამაშვილს** რამდენჯერმე შეუხსენებია საბჭოთა ხელისუფლებისთვის მისი მენშევიკური წარსული და „დანაშაულებრივი ქმედებები“ (მნაცაკა სოფელში ცნობილი ყოფილა, გვაპატიოს უფალმა და, როგორც განთქმული დამბეზღებელი). ერთ-ერთ ასეთ შეხსენებას მოჰყვა სწორედ ის ამბავი, რამაც აიძულა მიხეილი მთებისთვის შეეფარებინა თავი და კვლავ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართულიყო. სწორედ მისი ცხოვრების ეს ეპიზოდია შემონახული საარქივო სამმართველოს უშიშროების არქივში, ფონდი 6, საარქივო №21317.


1921 წლის 29 აპრილს გორის მაზრის პოლიტიბუროში შევიდა თანამშრომლების – **არუცევის, არაქელის, ხემიზურის** განცხადება, რომელიც იუწყებოდა, რომ სოფ. ახალქალაქში იმყოფება მენშევიკური მთავრობის ჯალათი, სამხედრო – საველე სასამართლოს თავმჯდომარე 1919 წელს, კომუნისტების – **შახნაზაროვის, ზარაპოვის, მეცხვარიშვილის** – დამხვრეტი მიხეილ ლაშქარაშვილი. რა თქმა უნდა, სადამსჯელო ღონისძიებამაც არ დააყოვნა და მილიციელი არაქელოვი თანამშრომელ ინაურსა და სხვებთან ერთად გაემართა



მიხეილ ლაშქარაშვილი / Mikheil Lashkarashvili

Party. But soon, having realized the emptiness of Marxism ideology, he resigned. In his memoirs he writes: “Those who were not approved by the Marxists became the victims of the terrorists. I myself was a witness to their treachery while working in the factory. The Marxist Movement was based on cruel behavior. They paved the path to power by destroying innocent patriots. Although it is difficult to put all of their brutalities into words, I still want to expose them and shed light on their behavior so that future generations will know all of the atrocities committed against Georgians by the degenerate Marxists.”¹

According to Giorgi Chaduneli,



¹ მიხეილ ლაშქარაშვილი, „მოგონებები“, გაზ. „რესპუბლიკა“, 1991.

¹ Mikheil Lashkarashvili, Recollections, The Republic, 1991.

სოფ. ქვემო ხანდაკში მიხეილის შესაპყრობად. მისი მეუღლის, **ელენე ჩივაძე-ლაშქარაშვილის** დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ:

„29 აპრილს, დილით, დაახლოებით ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც კარებს დაუწვეს ბრახუნი, გავიგე, ავდექი ჩაუცმელი და გავადე კარები, დავინახე შეიარაღებული კაცები, მე მივმართე, ვინ ხართ მეთქი, მათ შემეფიქრეს, ჩვენა ვართო, რო შევეკითხე, რა გინდათ მეთქი, მათ მითხრეს, თქვენს სახლს ობისკი უნდა დავარტყათო, მე, რასაკვირველია, მანდატი მოვითხოვე, რა უფლებით უნდა გაეჩხრიკათ სახლი, მათ მითხრეს, მანდატი ჩვენ აფიცერს აქვსო, მე უთხარი, წადით, მანდატი მოიტანეთ, სანამ მეც ჩავიცვამ და მობრძანდითო, ბევრი აღარ მაღაპარაკეს, აი, ეს არის ჩვენი მანდატიო და მოაწვენ სახლს და შემოვიდნენ ძალით, ერთი კარებში გაჩერდა, ორნი აკოშკასთან გაჩერდნენ, ერთიც მწოლარეს მივარდა მიხეილ ლაშქარაშვილს და ყელში წაუჭირა, მე ვთხოვდი დაშოშმინებას და ვეუბნებოდი, დააცადეთ, ადგეს და სახლი ისე გაჩხრიკეთ, მაგრამ მაინც ყელში წაუჭირა ერთი ხელი და მეორე ხელით იღებდა ლევარველს, მე ხელი დაუჭირე, რომ ლევარველი არ ამოეღო და არ დაერტყა, იმან ხელი მკრა და გადამაგდო იქით, უცბად გავარდა გარედან თოფი და მოხვდა ჩემს დედამთილს და წააქცია, რამოდენიმე წუთის ბრძოლის შემდეგ მე ვაშველებდი ჩემს ქმარს და შემოსულ კაცს, მომიბრუნდა, მკრა წიხლი შიგ გულ-მუცელში და გადავარდა იქით, ამ ბრძოლაში მეორე ტყვეიც გავარდა. საიდან და როგორ, ვერ გავიგე, მე გავარდი გარეთ და დავიწვე ყვირილი, ხალხო, მიშველეთ – მეთქი, ქმარიც მომიკლეს და დედაც, ეგეც მოკალითო, მომესმა ხმა მათგან, მაშინ ისინი გაცვივდნენ და გაიქცნენ, ზოგნი კი აქ სოფელმა დაატყვევეა, ვინაიდან მათ არანაირი მანდატი არ აღმოაჩნდათ. ვარ 32 წლისა, (ქართველი), ეს არის ჩემი ჩვენება, ჩვენება ნამდვილია და ხელს აწერს ელენე ლაშქარაშვილისა...¹

დატყვევებული მილიციელები ხალხმა მათი სახლის წინ მდგარ **ჩიქოვანების კოშკში** გამოამწყვდია. ქვემო ხანდაკის მკვიდრი, ბატონი **მურად მამულაშვილი** იხსენებს: მეორე დღეს დაბრუნებულა წინა დღეს ფანჯრიდან გადამხტარი მიშა, მილიციელებისთვის ერთი კი შეუხედავს, როგორ დაგხოცოთ, მაგის ღირსიც არ ხართ, თქვენი გულისთვის ხალხს ააწიოკებენო, დაუტირია თავის ამბავს შეწირული დედა და გადახვეწილა. ხალხში

Lashkarashvili lived in his father's house and took up agriculture after the Bolsheviks came to power. His compatriot Mnatsaka Adamashvili reminded the authorities several times about Lashkarashvili's Menshevik past and supposed crimes. Adamashvili was known in the village as a teller of tales. After one of such denunciation against him, Lashkarashvili had to seek shelter in the mountains, where he joined the National Liberation Movement. This period of his life is preserved in the Archive Administration of the Georgian Ministry of Internal Affairs, fond no. 6, case file no. 21317.

On April 29, 1921 the Political Bureau of the Gori Region received statements from the following employees: Arutsevi, Arakelova and Khemizuri. According to the statements, Mikheil Lashkarashvili, a butcher of the Menshevik authorities and chairman of the court martial in 1919, was in the village of Akhalkalaki. He shot the following communists: Shakhnazarovi, Zarapov and Metskhvarishvili. Soon after, a punitive group went together with the police officers with Arakelov and Inauri to the village of Kvemo Khandaki to arrest Lashkarashvili.

A passage from the criminal file of Elene Chivadze-Lashkarashvili: “ By 4 a.m. on April 29, I heard knocking on the door. I got up and opened the door, though I was only half dressed. Men in arms were standing before me. They were preparing to conduct a search. In answer to my



ჩიქოვანების კოშკი / The Chikovanis' Tower


¹ საქართველოს შს-ის არქივი, (II), ფ. №6, სარქ. №21 317, ფურც. 25. (სტილი დაცულია).

ხმა დადიოდა, თურმე მიშა დედის დაკრძალვას სასაფლაოს მოპირდაპირე მთებიდან, „მირიანის ბოსლებიდან“ ღურბინდით უყურებდაო... კომუნისტებმა მას დააბრალეს დედის სიკვდილი, თუმცა საქმეში დაცულია გორის მაზრის მილიციის უფროსის მიმართვა პოლიტბიუროსადმი, რომელშიც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ლაშქარაშვილის დედის და **თარხნიშვილის** მკვლელობა „გამოწვეული იყო ახალქალაქის და კავთისხევის რეგოების და მათი მილიციის შემადგენლობის ფრიად უტაქტიკო მოქმედების მეოხებით“¹ (თარხნიშვილი გახლდათ მიხეილის მეგობარი, რომელიც მისი გამოქომაგების გამო და ფრაზისთვის – „თქვენ რა გვარდიელები ხართ, რომ მიშა ლაშქარაშვილს დაესხით ყაჩაღურათ, ბოლშევიკურად კი ნუ მოდიხართ, გაუკაცურად მოდითო,“ – მეორე-მესამე დღეს დაცხრილეს).

მიშა კი გადახვეწილა და გადახვეწილა... ველად გაჭრილმა ლაშქარაშვილმა შემოიკრიბა თანამებრძოლები და უკვე 1922 წლის ზაფხულის ხევსურეთის აჯანყებისთვის ხელმძღვანელობდა საკმაოდ დიდ პარტიზანულ რაზმს. ერთხანს იმალებოდა **ახალშენ მირიანში**, მაგრამ 14 ენკენისთვეს (სექტემბერს) ვინმე კაციაშვილისგან გაიგო დამარცხების ამბავი, რაზმი ნაწილობრივ დაშალა, თავად უიმედობამ შეიპყრო, ციხის შიგნიდან გატეხვამ იმედგაცრუებული დატოვა და შეიარაღებულ აჯანყებაზე ფიქრსაც თავი დაანება, მხოლოდ სასწაულის იმედიღა ჰქონდა. გადაწყვიტა, 1924 წლის გაზაფხულზე მეუღლესთან ერთად ოსმალეთში და იქიდან ევროპაში გადასულიყო, მაგრამ ქაქუცასგან შეტყობინება მიიღო და მისი გეგმებიც ჩაიშალა...

აჯანყების მოლოდინში მიხეილმა თავის ერთგულ მოძმეებთან ერთად ოთხი თვე გაატარა მანგლისიდან სამი კილომეტრის მოშორებით, სოფ. **ბოტისის** ტყეში. შემდეგ ქაქუცაც შეუერთდა დანარჩენი შეფიცულებით, ადგილობრივი მოსახლეობა სიყვარულით

¹ საქართველოს შსს-ს არქივი, (II), ფ. №6. საარქ. №21 317, ფურც. 20.



request to show a warrant, they said that their officer had the warrant and they stormed into the house. One of them stopped at the door, the other two came to the window and one wanted to kill Mikheil Lashkarashvili, who was lying in bed. I tried to hinder him but he pushed me and knocked me down. Suddenly somebody pulled a trigger outside and a bullet hit my mother-in-law. While I was trying to part my husband and one of the aggressors, I was punched and fell down. After a second shot I ran out, yelling for help. The villagers seized some of them, while others managed to escape. I am 32 years old and a Georgian by nationality. In confirmation of my words I, Elene Chivadze-Lashkarashvili, hereby sign my testimony.”¹

The villagers locked the arrested policemen in the Chikovanis' Tower. Murad Mamulashvili, living in Kvemo

Khandaki, said: “The next day Misha returned to mourn over his dead mother. He left the village without taking revenge

on the policemen. Misha was said to have watched his

¹ II Section of the Archive Administration of the MoIA, f.6, d. 21 317, p.25. (style is preserved).

ამარაგებდა სურსათ-სანოვავით, ეხმარებოდა მორალურად. საგულისხმოა, რომ არც ერთ გლეხკაცს არ უცნობებია მთავრობის ხალხისთვის სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგადასხმული დევნილი ვაჟკაცების თავშესაფრის ადგილმდებარეობა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მეუღლე **ელენე ჩივაძის** ქალი, ერთგულად ედგა მხარში შეთქმულებს, მიჰქონდა საჭირო ინფორმაციები და ტყვია-წამალი. თავად მიხეილი წერს: „ჩემი მეუღლე... არამც თუ იყო ყველა ჩემი ბრძოლების თანაზიარი, იგი ხშირად აქტიურათაც მონაწილეობდა და ძალიან ხშირად დიდ ხიფათშიაც იყო ჩაგარდნილი...“¹

აჯანყება, რომელსაც კომუნისტებმა მოგვიანებით „**1924 წლის ავანტიურა**“ უწოდეს, 20 აგვისტოსთვის იყო დაგეგმილი, გადაიდო 28 აგვისტოსთვის. რა თქმა უნდა, კვლავაც ღალატს ჰქონდა ადგილი, ჯერ **ჯუდელი** გასცეს, რომელიც გარე კახელების დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა (ეს ის ჯუდელია, სომხები რომ მიუსია ნამძინარევე ქართველ მებრძოლებს, მაგრამ მალე მიხვდა „წითლების“ ვერაგობას და ნამდვილ პატრიოტებს შეუერთდა). მისმა დაჯერამ და დასჯამ (ხმები დაირხა, რუსებმა ცოცხლად დაწვეს ყოფილი „ამხანაგო“) მნიშვნელოვნად შეცვალა აჯანყების ბედი – აწ უკვე ბოლშევიკების მიერ გამაგრებულ თბილისში შეჭრის ნაცვლად გადაწყვიტეს რეგიონებიდან დაეცხოთ. პარიტეტულმა კომიტეტმა ლაშქარაშვილს ქართლი ჩააბარა. ყველაფერი სპონტანურად ხდებოდა. აღმოჩნდა, რომ დიდმა



მისიყვარულემ და მოამაგემ თავისი ქვეყნისა, ქვემოტალელმა **პოლკოვნიკმა მესხმა**, ვისი დახმარების იმედიც

ჰქონდათ, არაფერი იცოდა. (იგი მზადყოფნაში ყოფილა 1922 წ. დაგეგმილი აჯანყებისთვის?), მაგრამ უკან არ დაუხევია,



mother's funeral train through binoculars from the opposite mountain. The Communists blamed him for his mother's death, while the head of the Gori Region police appealed to the Political Bureau, stressing the fact that the death of Lashkarashvili's mother and Tarkhnishvili were caused by "the policemen of the Revolutionary Committee of Akhalkalaki and Kavtiskhevi." ¹ (Tarkhnishvili was a friend of Mikheil. He was shot for the following words: "You would not have invaded Misha Lashkarashvili's house if you were good guardsmen.")

Mikheil disappeared. He gathered brothers-in-arms and in 1922 he headed a guerrilla group during the Khevsurian uprising. For some time he hid in the settlement of Miriani. On September 14, after the defeat of Katsiashvili, he became very discouraged and gave up planning uprisings. In spring of 1924 he decided to go to Europe through Ossetia along with his wife. But he received a message from Kakutsa Cholokashvili, and all his plans changed again.

Mikheil and his comrades had been in the forest near the village of Botisi for four months when Kakutsa joined them. The local residents supplied them with food and

tried to cheer them up. It is noteworthy that none of the peasants reported the presence

II Section of the Archive Administration of the MoIA, f.6, d. 21 317, p.20.



¹ მიხეილ ლაშქარაშვილი, „მოგონებები“, გაზ. „რესპუბლიკა“, 1991.

ბოლომდე უერთგულა შეფიცულებს და, რაღა თქმა უნდა, ამ ამბავს შეეწირა კიდევ: 1924 წლის 31 აგვისტოს **22 უდანაშაულო ქვემოჭალელსა და ამილახვართან** ერთად ბოლშევიკებმა დახვრიტეს!

ამას მოჰყვა შეფიცულ **ელიზბარ ვაჩნაძის** მარცხი მანგლისში. ოკუპანტებმა აქაც გამცემის წყალობით წინასწარ იცოდნენ თავდასხმის შესახებ და მზადყოფნაში იყვნენ...

მართალია, ქაქუცამ ბრძოლით აიღო დუშეთი, შევიდა ზემო კახეთში, გადავიდა ყარაიაზსა და ბორჩალოში და დაიწყო თბილისის დაზვერვა, მაგრამ... აჯანყება მაინც მარცხით დამთავრდა... დამთავრდა და სისხლის ნიაღვარიც წამოვიდა...

„ჯალათურ მოსკოვს, **ორჯონიკიძეს, მახარაძეს და სტალინს** მახვილი გაღვსილი ჰქონდათ და მზად იყვნენ ქართველების სისხლის დასაღვრელად... ჩვენ კარგად იცოდა პარიტეტული კომიტეტის შემადგენლობა, მაგრამ განგებ ხელს არ ჰკიდებდა, რომ აჯანყება არ ჩაშლილიყო, ამ მიზეზით შემდეგში დაერბია და სისხლში ჩაეხრჩო მთელი საქართველო და შური ეძია ყველა პატრიოტ მამულიშვილზე. მისთვის ეს საოცნებო დღეც დადგა და მოღალატეებისგან გაცემული აჯანყებაც ჩაიხშო ნამდვილ ბრძოლების დაწყებამდე...“¹ მარქსისტები **„მოუწოდებდნენ გლეხობას, ამოეწყვიტათ თავადაზნაურობა... რადგან ყველა ჯიშის მარქსისტებისთვის თავადაზნაურობა იყო მარქსიზმის წინააღმდეგ ის ციხესიმაგრე, რომ მის დაუნგრევლად მარქსიზმს არასოდეს გამარჯვება არ ეწერა... მარქსისტები მოითხოვდნენ ამ ხალხის ამოწყვეტას, რომლებიც იმ ხანებში წარმოადგენდნენ ეროვნული ბრძოლებისათვის მთავარ ძალას!“**²

ენა ვერ გადმოსცემს იმ ზარალს, რაც მაშინ მიადგა ქართულ ჯიშს, გენსა და ინტელექტს. ვინც გაასწრო საზღვრებს გარეთ, გაასწრო, ვინც არადა, დახვრიტეს ყველა ღირსეული, ვისაც რამე დამსახურება ჰქონდა ერისა და მამულის წინაშე. ახლობლებს დამარხვისა და დატირების საშუალებასაც არ აძლევდნენ, ყველგან შიში და სიკვდილი სუფევდა, მხოლოდ „ტროიკის“ წევრები და მოღალატეები დათარეშობდნენ თავისუფლად. არაკად დადიოდა **ორჯონიკიძის** ნათქვამი: **„შემიწირა რუსეთისათვის რაცხა მილიონ ნახევარი ქართველიო“...** ასეთებზე თავში ვთქვით, მათზე სათქმელს ისტორია იტყვისო და თქვა კიდევ, საფლავებიდან ჯერ თუ არ ამოითხარნენ, კვარცხლბეგებიდან მაინც ჩამოიყარნენ და შეირისხნენ...

of these courageous men to the authorities. During this time Elene Chivadze, Lashkarashvili's wife, supported her husband and the other rebels. She supplied them with necessary information and ammunition. Mikheil himself wrote: “My wife often took part in the combat and put herself in danger...”¹

The uprising, later called the “risky venture of 1924” by the Communists, was supposed to start on August 20, but treason caused it to be delayed until August 28. Jugeli, a leader of an external Kakhetian division, was exposed. It was this very Jugeli who set Armenians on the sleepy Georgians. But soon after he realized the treacherousness of the Communists and he joined genuine patriots. He was arrested, punished and was said to have been burned alive. After this, the rebels decided to attack the regions instead of Tbilisi, a city in the hands of the Bolsheviks. The rebellion committee assigned Kartli to Lashkarashvili. Everything was taking place without pre-planning. Although the Colonel Meskhi from Kvemochala did not know about the delay of the uprising, he did not retreat and was committed to his comrades to the end. On August 31, 1924 the Bolsheviks shot him, together with 22 innocent people from Kvemochala and Amilakhvari. This was followed by the misfortune of Elizbar Vachnadze in Manglisi. With the help of a traitor the aggressors found out about a pending attack beforehand and they were prepared for it. In spite of that, Kakutsa managed to occupy Dusheti, Zemo Kakheti, Karaiazi, Borchalo and began even to reconnoiter Tbilisi. But nevertheless the uprising ended in failure and bloodshed.

“Moscow, represented by Ordzhonikidze, Makharadze and Stalin, was prepared to destroy the Georgians. Although the Cheka knew the membership of the rebellion committee, it did not arrest them, since it intended to use the uprising as a pretext to take revenge on the Georgians. Their long-awaited day came and the uprising was suppressed in blood.” The Communists “called on the peasantry to destroy the nobles. The nobles were deemed to be a fortress, and Marxism would never gain victory without destroying that fortress. The Marxists demanded that these people, who were the main force in the national struggle, be killed!”²

Georgia suffered a great loss. These people, who had done a great service for their country, were not able to flee abroad, and were instead shot. Their relatives were not allowed to mourn them. Death was everywhere. Only

¹ მიხეილ ლაშკარაშვილი, „მოგონებები“, გაზ. „რესპუბლიკა“, 1991.

² იქვე.

¹ Mikheil Lashkarashvili, Recollections, The Republic, 1991.

² Ibid.

ოქტომბრის დასაწყისში ქაქუცამ, გადარჩენილ შევიცულებთან ერთად, გულდათუთქულმა დატოვა სამშობლო და საფრანგეთში გადავიდა, მოგვიანებით მისი ბედი გაიზიარა მიხეილ ლაშქარაშვილმაც.

სოფ. ქვემო ხანდაკში პელაგიას ბიჭზე – დიდთვალება, ჯან-დონით სავსე სამართლიან მიშა ლაშქარაშვილზე ამის მერე აღარა გაუგიათ რა, მხოლოდ ის გვითხრეს, თურმე უცხო ქვეყანაში მინისტრის ხელა კაცი გამხდარა და ოქროს ტროსტით დადიოდაო...

საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე გადახვეწილთა ოთხასამდე სამარეა, ამათგან ორზე ვკითხულობთ:

მიხეილ ლაშქარაშვილი 1884 – 1952

ელენე ლაშქარაშვილი 1884 – 1950

the traitors reigned freely. Ordzhonikidze's words became an aphorism: "Let a million and a half Georgians be donated to Russia." It is up to history to judge people like Ordzhonikidze. While their graves have not been dug up, they have at least been removed from their pedestals.

At the beginning of October 1924, Kakutsa and some of his surviving compatriots left Georgia for France. Soon afterwards Lashkarashvili shared this fate.

Mikheil Lashkarashvili, from the village of Kvemo Khandaki, the son of Pelagia, was full of strength and a sense of justice. Nothing more was heard about him. The villagers knew that he had been elevated to ministerial rank.

There are approximately 400 graves of Georgians in Leville Cemetery, and the following inscriptions are engraved in two of them:

Mikheil Lashkarashvili 1884-1952

Elene Lashkarashvili 1884-1950

